საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გორის ციხე

გორის ციხე საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

გორის ციხე, ისტორიული ციხესიმაგრე ქართლში, გორის ცენტრში, მაღალ კლდოვან ბორცვზე. ჩრდ. ფერდობზე შემორჩენილი ნანგრევები და არქეოლ. მონაცემები მოწმობს, რომ აქ ძვ. წ. I ათასწლეულის უკანასკნელ საუკუნეებში გაშენებული ყოფილა ძლიერი სიმაგრე, მის გარშემო კი მოსახლეობა ცხოვრობდა. პირველად იხსენიება IX–X სს. თხზულებაში. გ. ც. მნიშვნელოვან სტრატეგიულ სიმაგრეს წარმოადგენდა, მისი დაუფლება ნიშნავდა *პოლიტ.* ბატონობას მთელ შიდა ქართლზე. საუკუნეების მანძილზე გ. ც. არაერთხელ განახლებულა და გადაკეთებულა. XII–XIV სს-ში ის საკმაოდ გამაგრებულ ციხედ ითვლებოდა. გიორგი ბრწყინვალემ ოსთაგან მის განთავისუფლებას 3 წელი მოანდომა. თემურლენგის ისტორიკოსები ნიზამ ალ-დინ შამი და შერეფ ალ-დინ იეზდი XV ს. დასაწყისში გ. ც-ს „უაღრესად მკვიდრ და საგულდაგულოდ გამაგრებულ ციხესიმაგრედ" წარმოგვიდგენენ. XV ს. 70-იან წლებში ის ხით ნაგები ყოფილა, 1478 კი ოსმალებმა ქვით ააშენეს. 1599 ციხე სიმონ I-მა დაანგრევინა, 1614 შაჰ აბასის ბრძანებით გ. ც. აღადგინეს და შიგ ყიზილბაშთა გარნიზონი ჩააყენეს. ძირითადი ნაწილი XVII ს. 30-იან წლებში როსტომ მეფეს აღუდგენია. 1774 იგი საფუძვლიანად შეაკეთა მეფე ერეკლე II-მ. რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის ანექსიის (1801) პირველ წლებში გ. ც. კიდევ ასრულებდა თავის სტრატეგიულ ფუნქციას, აქ რუს. არმიის გრენადერთა ბატალიონი იდგა. შემდგომში მან დაკარგა ადრინდ. მნიშვნელობა. ერეკლე II-ის მიერ რესტავრირებული ციხე ერთი საუკუნის განმავლობაში თანდათან ინგრეოდა მისი აღდგენა განიზრახა გორის კეთილმოწყობის დიდმა მოამაგემ, გადამდგარმა გენერალმა ივანე ამილახვარმა. მას სურდა გ. ც. თავად-აზნაურთა გასართობ ადგილად

გადაექცია – საკუთარი სახსრებით მოაწყო მისასვლელი გზა, ცემენტის კიბე, გააშენა ბაღი და გაიყვანა წყალი. გ. ც. ძლიერ დაზიანდა 1920 მიწისძვრის შედეგად. 50-იან წლებში ის ნაწილობრივ აღადგინეს, შემდგომ კი პერიოდულად ტარდებოდა სარემონტო სამუშაოები. გ. ც-ის აღმ. მონაკვეთში დგას XI–XII სს. დარბაზული ეკლესია.

ლიტ.: ზ ა ქ ა რ ა ი ა პ., საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები, თბ., 1973; მ ა მ ი ს თ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ე., გორის ისტორია, I (1801 წლამდე), თბ., 1994.

ჯ. გვასალია

ე. მამისთვალიშვილი